საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/224 " 14 " დეკემბერი 202 0 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ი. აბრამიძის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, იოსებ აბრამიძე 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში იოსებ აბრამიძის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (ი. შენგელია; რ. ნადარაია; თ. ონიანი) და სამი არამოსამართლე (ი. გელაშვილი; ნ. ჯანეზაშვილი; ზ. ხარებავა) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე იოსებ აბრამიძის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 500 ქულას, რაც წარმოადგენდა ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 83,3%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭოს სრული შემადგენლობის მხარდაჭერით) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე იოსებ აბრამიძე 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე